F 343
1999




# დილა-95

№6 ნოემბერი-დეკემბერი 1999 წელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა




## ჩვენო პატარა მკითხველო!

თქვენს წინ ჟურნალის „ორნაწილიანი“ ნომერია — ერთი „ნაწილი“ ჩვეულებრივი, რიგითი, თქვენთვის კარგად ნაცნობი „დილაა“, მეორე — 1904 წელს გამოცემული. ამ უკანასკნელს ზუსტად იმ სახით გთავაზობთ, როგორითაც ის იმდროინდელმა თქვენმა თანატოლებმა „ნაკადულის“ სახელწოდებით მიიღეს.

ჟურნალის ახლანდელი სახელწოდება რიგით მესამეა. თავიდან მას „ნაკადული“ ერქვა, მერე — „ოქტომბრელი“, ახლა კი „დილაა“!

დღეს ჩვენს ჟურნალს 95 წელი შეუსრულდა. გაივლის კიდევ ხუთი წელი და საქართველოში პირველი საუკუნოვანი საბავშვო გამოცემა გვექნება!

რაღა არ გადახდენია ამ დროის მანძილზე ჩვენს ჟურნალს, მაგრამ არ ყოფილა დღე და საათი, თქვენზე არ ეფიქროს.

ჩვენო პატარებო, გვიყვარხართ უპირობოდ, მიუხედავად თქვენი ნიჭის და უნარის, ღირსებებისა თუ ნაკლისა.

მეტი რა გითხრათ! გვიყვარხართ მაშინაც კი, როცა ზოგიერთის უსაქციელობის გამო, ჩვენს ჟურნალს გვერდები ეხევა. ოღონდ თქვენდამი ჩვენს სიყვარულს არაფერი ეხება — იგი ყოველთვის წმინდა და მარადიულია!

ამ ჟურნალის ფურცლებზე ბევრი თაობა აღიზარდა, მაგრამ თქვენი ბედი მაინც განსაკუთრებულია — აწ უკვე თავისუფალი საქართველოს შვილები ხართ!

პირველი საყმაწვილო-სალიტერატურო გამოცემის რედაქტორს ქალბატონ მარიამ დემურიასა და მის თანამოაზრეებს იმედი ჰქონდათ, რომ მომავალში ჟურნალი არ ჩამორჩებოდა საუკეთესო ევროპულ საბავშვო ჟურნალებს.

დღეს ეს ოცნება რეალობად იქცა!

არა მარტო ჟურნალი გავხადეთ „ევროპული“, არამედ თვით ჩვენი სამშობლოც ევროპული ქვეყნების ოჯახის სრულუფლებიანი წევრი გახდა!

გიხაროდეთ!..



### ჟურნალ „დილას“

სიხარულო, საით მიხმობ,
ცას ფრენას თუ ეპირები! -
სიტყვა-სიტყვით წასაკითხი,
ლამის დასაზეპირები!
როგორ მიყვარს ეგ ფერადი,
შარიშურა ატლასები!
ჩემნაირი გულისთრთოლვით
მოგელიან ათასები!
„დილა“ ხარ და
ჩვენს სავალ გზებს
ეფინები რიჟარჟებად,
მაგ ჭკარებში
მამის ხმა ჟღერს,
დედის სითბო ინაზება.
რა მადლი გაქვს! -
გულში შუქად,
ნათლის სვეტად გადადიხარ.
ჟურნალი ხარ? -
თეთრი მტრედის
მოტანილი ბარათი ხარ!
წაგიკითხავ... სამომავლოდ
ახალ სივრცეს მომიხაზავ,
ქართული ხარ! -
შოთას, საბას,
ვაჟას დიდი გორისა ხარ!

მზია ჩხეტიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა
F343
1999

# ეკლესია – ღვთის სახლი

ნანა ჩარქვიანი

## ხე – საიდუმლო

ყველამ ვიცით რა არის ხე, მაგრამ მოდით, ვთქვათ – რა არის ხე!

ხეები ჩანს ჩვენი ფანჯრებიდან, ხეები დგას ჩვენს ეზოებში, ბაღებში, ქუჩებში, გზების გასწვრივ, ქალაქებსა და სოფლებში, ტყეებში, ხეობებსა და მთებზე. ხეები ჩვენთან ერთად ცხოვრობენ დედამიწაზე, მაგრამ ერთი წუთით წარმოიდგინეთ ეზოები, ქუჩები, სოფლები და ქალაქები უხეოდ, ყველაფერი იქნებოდა მოწყენილი, პატარების ენით თუ ვიტყვით - ყურებჩამოყრილი; უფროსების ენით რომ ვთქვათ, ყველაფერი იქნებოდა უსიცოცხლო, უდაბნოსავით უსიცოცხლო – უდაბნოში ხომ არ ხარობენ ხეები.



F6771

მაგრამ ხეების გარდა ხომ არსებობს ბალახი, ყვავილები, ბუჩქები? - იკითხავთ თქვენ. დიახ, თუმცა ბალახიც, ყვავილიც და ბუჩქიც ადამიანზე დაბალია, მათი მოვლისას ადამიანი ცხოველივით სულ მიწისაკენ იქნებოდა დახრილი, არადა ადამიანი გამართული სიარულისათვის შექმნა ღმერთმა; ბალახისა თუ ყვავილის თვალიერებისას ადამიანს მხოლოდ ქვემოთ მოუწევდა ყურება, ამიტომ შეიძლება ძალიანაც გაყოყოჩებულიყო და ეფიქრა, ყველაფერს ზემოდან დავყურებ, ყველაზე მაღალი მე ვარ, ჩემზე მაღალი არც არავინაა ამქვეყნადო!

ხე კი ჩვენზე მაღალი იზრდება, ის სულ ზემოთ მიისწრაფვის, მაგრამ არასოდეს წყდება მიწას, რადგან ფესვებით ეჭიდება მას. ტოტები ძალიან ჰგავს ფესვებს, ისინი თითქოს ზეცის ფესვები არიანო. თუ სიტყვებით თამაშს გავაგრძელებთ, ისიც შეიძლება ვთქვათ, რომ ფესვები მიწის ტოტები არიან. ხეები თითქოს მიწასა და ცას შორის ხიდებივით არიან გადებულნი.

ჩვენ, ადამიანები, ხეების ფესვებსა და ტოტებს შორის ვცხოვრობთ. ხეები თითქოს გვახსენებს, რომ ჩვენი ადგილი მიწისა და ზეცის შუაა და, თუ ხიდი არსებობს, ის იმისათვის არსებობს, რომ ზედ გადახვიდე!

ხეები სულ სხვადასხვანაირნი არიან წელიწადის სხვადასხვა დროს.

შემოდგომისას ისინი ძალიან ლამაზად გამოიყურებიან, უოქროსფრდებათ და უწითლდებათ ფოთლები, მაგრამ ეს ფოთლები თანდათან სცვივათ. მათი ყურებისას შეიძლება სევდიან გუნებაზეც კი დადგე, რადგან იცი, რომ ბოლოს ხეები სულ მთლად დაკარგავენ ასეთ მშვენიერ მოსართავს.

ზამთარში ხეები აღარ არიან ფერადნი, ისინი თითქოს შავ-თეთრნი ხდებიან, სამაგიეროდ კარგად ჩანს მათი ტოტების ხაზები, ხაზები, რომლებიც ზემოთ მიემართება. ამ დროს ხეები თითქოს ხელებაწვდილ ადამიანს ემსგავსებიან, მაგალითად მღვდელმსახურს, რომელიც წირვის დროს მლოცველებს ეტყვის „ზე გვაქვნდინ გული“, შემდეგ კი ხელებაპყრობილი მადლობას შესწირავს ღმერთს და სთხოვს მადლის, სასიცოცხლო, კეთილი ძალის მონიჭებას, ე.ი. მოცემას. ღმერთიც უხვად გვაძლევს ამ ძალას. ამ ძალით გაზაფხულზე ხეები ისევ ცოცხლდებიან, სიცოცხლის ძალა მათ ულამაზესი ყვავილებითა და ფოთლებით რთავს, ყვავილი ზაფხულში ნაყოფად გადაიქცევა – ვაშლის ხე ვაშლის ნაყოფს ისხამს, მსხლის ხე – მსხლისა, ალუბლის ხე – ალუბლის ნაყოფს, ბლის ხე კი ბლისას. ნაყოფს იგემებს ადამიანი და თვითონაც სასიცოცხლო ძალით აივსება. ხის ნაყოფი არის ჩვენი საკვები.

გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა ზამთარი... გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი – წრეზე მოძრაობს დრო და ხეები რომ არა, ჩვენ დროის მოძრაობას ვერც კი დავინახავდით ასე თვალსაჩინოდ. მაგრამ ხომ არიან ხეები, რომლებსაც არც უყვითლდებათ და არც სცვივათ ფოთლები. მათ მარადმწვანე ხეებს უწოდებენ. დიახ, ეს ხეები გვასწავლიან, რომ არსებობს ისეთი სიცოცხლე, რომელსაც აღარ ეხება დროის წრებრუნვა, აღარ ეხება ჭკნობა და სიკვდილი. ასეთ სიცოცხლეს მარადიული სიცოცხლე ჰქვია. მარადიული სიცოცხლის ხე დანერგილი იყო სამოთხეში, მაგრამ ცოდვით დაცემის შემდეგ ადამიანს მასთან მისასვლელი გზა გადაეკეტა, რადგან მისი ნაყოფი რომ ეგემნა, მარადიულად იარსებებდა ცოდვაც და ბოროტებაც.



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ცოდვამ დედამიწაზე აღმოაცენა სიკვდილის ხე-ჯვარი. ჯვარზე სიკვდილით სჯიდნენ ადამიანებს, მაგრამ ბოროტება არ არის მარადიული. და აი, მოვიდა იესო ქრისტე, ღმერთ-კაცი. ის თვითონ არის სიცოცხლის შემოქმედი, სიცოცხლის მომცემელი, ის თვითონ არის სიცოცხლე. სიკვდილი ისე „გათავხედდა“, რომ თავად ღმერთის მოკვდინება განიზრახა, ჯვარცმისას ჯვარზე ორი ძალა შეხვდა ერთმანეთს - სიცოცხლისა და სიკვდილისა. და რა თქმა უნდა გაიმარჯვა სიცოცხლემ, რადგან ღვთაებრივი ძალა უძლეველია.

ამის შემდეგ ისევ გაგვეხსნა გზა მარადიული სიცოცხლის ხისაკენ, რათა ვიგემოთ მისი ნაყოფი. მარადიული სიცოცხლის ხე თავად იესო ქრისტეა, აი, რატომ რთავენ საშობაოდ მარადმწვანე ხეს – ქრისტეს შობამ ხომ ახალი სიცოცხლე მოგვიტანა.

ახალი სიცოცხლის ხე ახალ სამოთხეში – ეკლესიაშია დანერგილი. ახალი სამოთხე, ახალი მიწითა და ახალი ზეცით, არის ტაძარი. სწორედ ტაძრის აღმოსავლეთ კედელზეა ხოლმე გამოსახული ახალი სიცოცხლის ხე. ძველი სამოთხის სიცოცხლის ხის ნაყოფი ძველმა ადამმა ვერ იგემა, მაგრამ ჩვენ, ქრისტიანებს – ახალ ადამიანებს ახალ სამოთხეში გვეძლევა ახალი სიცოცხლის ხის ნაყოფი, არა ჩვეულებრივი, არამედ ღვთაებრივი, ქრისტეს პური და ღვინო. ვისაც სურს გახდეს ახალი ადამიანი, რომელსაც ველარ მოერევა სიკვდილი, უნდა იკვებოს ახალი საკვებით, სიცოცხლის ხის ნაყოფით.

ყოველივე ამის შემდეგ მოდით კიდევ ერთხელ ვთქვათ რა არის ხე.

ხე არის საიდუმლო, საიდუმლოა სიცოცხლის ხე!

ღმერთმა გვაზიაროს ამ საიდუმლოსა და მის ძალას, ამინ!



## საშობაო დათვი

თუ გინდა, რომ შენი ნაძვის ხის ქვეშ „საახალწლო დათვი“ იჯდეს, აიღე მუყაო, მაკრატელი, ფერადი ფანქრები, ფლომასტერები ან საღებავები და მიყევი სქემას.

1. გამოჭერი ღერძი ანუ მთავარი ნაწილი, სადაც მიებმება ხელები და ფეხები (მიმაგრება შეიძლება პატარა ლურსმნით, ჭიკარტით ან ქინძისთავით, ისე, რომ ხელ-ფეხი მოძრაობდეს).

2. ხელებზე და ფეხებზე, სადაც წაწვეტებული ნაწილებია, მიაწებე კანაფი, ან ისეთი რამ, რაც არ წყდება.

ნინო ლაფაური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

## საახალწლო ზღაპარი



უჰ, რამდენი იარა,
ცხრა მთა გადაიარა,
მაგრამ სულ არ დაღლილა
თოვლის პაპა თანდილა.
- საით მიეჩქარება
შორი გზებით ნატარებს?
-საახალწლო საჩუქრებს
დაურიგებს პატარებს.
გატენილი ხურჯინი
ყველა ყმაწვილს ეყოფა...
უცებ გზაზე მშიერი
მგელი გადაეღობა.
დაიყმუვლა:
-ა - უ - უ...
ყური მიგდე თანდილავ,
თუ გინდა, რომ ცოცხალი
გადამირჩე ამ დილას,
ამას იქით ვერ წავა
შენი ფეხის კვალიო,
წამოცალე ხურჯინი,
რა გაქვს სასუსნავიო.
თოვლის პაპას თმა-წვერი
დაეცვარა ოფლითა.
რა ქნას? უცებ ინატრა
კომბალი თავის კომბლითა.
ინატრა და იმ წუთას
კაცი გაჩნდა გზაზედა,
მუხის დიდი კომბალი
გადაედო მხარზედა.
მგელმა თვალი შეასწრო,
შიშით ლამის გათავდა,
პირი ტყისკენ იბრუნა,
ისარივით გავარდა.
გახარებულ თანდილას
გაუცინა კომბლემა:
- მოხსნილი გაქვს, მამია,
საახალწლო პრობლემა!
მერე ერთად გაუყვნენ
გზას -დაბარდნილს თოვლითა:
თოვლის პაპა - ხურჯინით,
კომბლე თავის კომბლითა.

ლალი ჯაფარაშვილი

## ზამთარი

თითო-ოროლა ფიფქი რომ
ჩამოფარფატდა ზეციდან,
გიგას პეპლები ეგონა
და უკან გამოეკიდა,
მერე, როდესაც მთა-ბარი
ფაფუკ ფანტელით აივსო,
პაპამ თქვა, - დადგა ზამთარი,
უჰ, რა ლამაზად ბარდნისო!



ლია კობალაძე

## ზამთარი

ცვივა, ცვივა, ცვივა
ფანტელები უხვად,
ოი, როგორ ცივა,
ვაგიზგიზებთ ბუხარს.
ადის, ადის, ადის,
კვამლი ადის ცაში,
შესცივნია ნადირს
გაზაფხულის ცდაში.
მაშვის ჭახჭახ-ჭახჭახს
მოჰკლებია ეშხი,
დადუღებულ მაჭარს
პაპა ასხამს ქვევრში,
მიაყუდებს ფიწალს,
დაღლილ მუხლებს გაშლის,
დათოვლილი მიწაც
ჩასთვლემს ფიფქის თვლაში...
- ნეტავ, როდის მოვა
გაზაფხულის თქეში?
- ახლა ჩამოთოვა,
მოწვიმს მარტის თვეში.



მხატვარი ზაურ დეისაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან ჭილაშვილი

## ვატო და ჩიტი

ვატო შინ აკანკალებული შემოვიდა.

– კიბეზე მშვიდად უნდა ამოხვიდე, – შენიშნა ბებომ და სიტყვა პირზე შეაცივდა.

ბიჭუნას სახეზე ფერი არ ედო.

– იტკინე რამე? – აფორიაქდა ბებო.

ვატომ თავი გააქნია.

– აბა, რამ შეგაწუხა? – ბებომ შვილიშვილი სავარძელში ჩასვა და წყალი დაალევინა.

– ღმერთი დამსჯის? – ვატომ ალალი თვალები მიაპყრო ბებოს.

– რატომ უნდა დაგსაჯოს, ანგელოზი ხარ, გენაცვალე – მიეფერა ბებო.

– ბარტყი მოვკალი – ამოილუღლუღა ვატომ.

– მოკალი? – გაოცდა ბებო.

– არა, აი, ხისქვეშ ეგდო, პირს აღებდა, ავიყვანე, ბუდეში მინდოდა ჩამესვა, მაგრამ ვერ ვიპოვე, არც ერთ ხეზე არ იყო... ამასობაში მოკვდა...

ვატოს გული ამოუჯდა.

– წუხელის ქარმა თუ გადმოაგდო ბუდიდან – შეწუხდა ბებოც.

– ბებო, ღმერთი ხომ დაინახავდა, ბუდეს რომ ვეძებდი? – პასუხის მოლოდინში გაიცქნაფა ბიჭუნა.

– უფლის თვალს რა გამოეპარება! – პირჯვარი გადაიწერა ბებომ.

– იმასაც დაინახავდა, არა ბებო, ბარტყი მიწაში რომ ჩავფალი და ფოთლები მივაყარე, კატამ არ მიაგნოს მეთქი.

– უსათუოდ, იდიდოს მისმა სახელმა, დაგლოცავდა კიდეც – თავზე ხელი გადაუსვა ბებომ ვატოს.

ვატოს გულზე მოეშვა, ლოყები შეუფაკლდა...

ბებომ შანდალში სანთელი ჩაამაგრა, ვატომ აანთო!

ოთახის სიმყუდროვეში უჩუმრად იწვოდა პაწია ჩიტუნას სულის მოსახსენებელი წმინდა სანთელი...

ნაზი თარგამაძე

## დედა-სამშობლო

- დედა! სამშობლო რა არის?
- ზღვა სიყვარულის ზღვა არის...
ჯეჯილ-ყანები, ტყეები
და ამირანის მთა არის.
მიწა, ჰაერი, წყალია,
მზეა, სუნთქვაა, პურია,
სამშობლო - ,,ორთავ თვალია“, -
სამშობლო - სიხარულია.
შვილისთვის, შვილო, დედაა,
დედისთვის - შვილზე მეტია,
სამშობლოსათვის ქართველ ქალს
ცხრა შვილი გაუმეტია.
სამშობლო - საქართველოა,
ამერ-იმერი სრულიად,
სამშობლო, შვილო... დედაა,
დედისთვის გულის-გულია.



მხატვარი ედუარდ ამბოკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ბეჟარაშვილი

***

მაღლით დამყურებს მზის ჭ[illegible]
მიწად ბაღნარი მინთია,
ღრუბლები, თეთრი ღრუბლები
მიდიან, სადღაც მიჰქრიან.
აქ გავიგონე მშობლის ხმა,
დედამ ამ ცის ქვეშ დამბადა,
ეს ჩემი საქართველოა,
ღმერთო, მიმყოფე კარგადა!..

გივი ჭიჭინაძე

## მშვიდობისა და ვარდობის თვეა

მზე მიუხატავთ ჭიშკარზე ბავშვებს,
ისინი მზეს ხომ მეგობრად თვლიან...
ცეკვავს თამარი, ტაშს უკრავს შამშე,
ლექსს ამბობს ანა,
ღიღინებს თეა:
- მშვიდობისა და ვარდობის თვეა!
- ჰეი, დილილმე, ვარდობის თვეა!
შენობის ყველა სარკმელი ღია
ჰგავს თვალებს, ცისკენ რწმენით აპყრობილს,
- ტიაო-ტია! ტიაო-ტია!
ლამაზ სიმღერას ისმენს მნათობი.
- ტიაო-ტია! ტიაო-ტია!
ლამაზ გალობას ისმენს მნათობი.
ცარცით დახატულ მზიან ასფალტზე
ბიჭუნა დახტის ასკინკილათი.
იქვე აუზთან მოლი ხასხასებს,
გაბრწყინებული მწვანე სინათლით.
მზე ეჯიბრება ყვავილთა ბრდღვიალს,
მშვიდობისა და ვარდობის თვეა.
კნაჭა გოგონას გაექცა ბურთი
და ახლა ეკალ-ბარდებში გდია.
- რად მოიწყინე? - კითხულობს გია,
ბურთი დაკარგე?
- დავკარგე, დიახ !
გაძვრა-გამოძვრა ეკლებში ბიჭი,
ჰა, ჭრელი ბურთიც... თეასთან მიაქვს...
- აი, ვაჟკაციც ამასა ჰქვია! -
იცინის თეა, იცინის გიაც...
და მზეც შესცინის ძველის - ძველ ჭიშკარს,
მზე, მოხატული პაწია ხელით.
ცელქ გოგონასავით ცხრავე თვალს გვიკრავს
და საპასუხოდ ჩვენს ღიმილს ელის.
ცაში, აუზში, ჭიშკარზე, ყველგან
ბავშვის გულივით კეთილი მზეა...
ვარდობისა და მშვიდობის თვეა!



ლევან ბაბუხადია

## ლომი

მე პატარა ლომი ვარ,
ეს იგი – ბოკვერი,
ისეთი ჯიშისა ვარ,
ვერვინ მნახავს მოკვერილს.

მალე, როცა გავიზრდები,
დავსკუპდები განა მეფედ,
გადავდენი მტერ-ბაცაცებს
და მშვიდობას გავამეფებ.

მხატვარი მანანა მორჩილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოდო ხიმშიაშვილი-ვადაჭკორია

# ერთი ბიჭის გადარჩენილი «ქვეყანა»



მამა ჭიშკარში შემოვიდა და ნიკუშას ბალახებში ბურთი გაუგორა.

– ვაი, ეს როგორი ბურთია?! ცისფერი, გამჭვირვალე და აჭრელებული, – ცაში ააგდო ნიკუშამ ბურთი. და... სასწაული მოხდა, თითქოს ჭრელი პეპლები წამოფრინდნენ, – ხომ არ მეჩვენება? – თვალები მოიფშვნიტა ბიჭმა. მიწაზე გაგორებულ ბურთს ჩაუცუცქდა, დააცქერდა და მოაგონდა, რომ სწორედ ასეთი, ბურთივით რაღაც, მისი დის – ირინეს საწერ მაგიდაზეა წამოსკუპული, ოღონდ ის ფეხზე დგას და მგონი გლობუსს ეძახიან. – ნიკუშამ დედას დაუძახა.

ჩაცუცქებულ ბიჭს დედა შეეხმიანა:

– იცი, ეს რა არის? დედამიწაა. მთელი ქვეყანა. ეს, ცისფერი, წყალია – ოკეანეები და ზღვები. პატარა ფერად-ფერადი ლაქები კი ცალკე ქვეყნებია – აი, საფრანგეთი, აი, ინდოეთი. აი, ეს კი, ხედავ? ორ ზღვას შორის მოქცეული ქვეყანა, საქართველოა.

– თბილისი და წავკისიც არის?

– რასაკვირველია. აი, აქ, – თითი დაადო დედამ პატარა წერტილებს.

– ასე პატარა? – გაოცებულმა თქვა ნიკუშამ.

– შენც პატარა ხარ, მაგრამ გაიზრდები. – გაუცინა დედამ.

– სხვები რა დიდებია, საქართველოც გაიზრდება? – თვალს არ აშორებდა ბურთს ბიჭი.

– შენთან ერთად გაიზრდება.

დედას მეზობელმა დაუძახა და დედა შესაგებებლად წავიდა, მაგრამ მეზობელმა ეზოზე გადმოიარა და გაგორებულ ბურთს ფეხი დაარტყა.

ბურთი ცისკენ აიჭრა და მალე, ტრიალ-ტრიალით, ახლად მორწყული ვარდების კვალში ჩავარდა, ტლაპოში ჩაეფლო და სულ ამოისვარა. სხვადასხვა ფერის ქვეყნებიც და ცისფერი ოკეანეც აზელილი ტალახით დაიფარა.

იდგა ნიკუშა, ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების ყვითელი ფორმა და თეთრი ბოტასები ეცვა და ფიქრობდა: რა ვქნა? ყველაფერი ტალახში ამომესვრება, მაგრამ დრო რომ არ იცდის... ტალახში იხრჩობა მთელი დედამიწა. ბევრი აღარ უფიქრია, პირდაპირ გადააბიჯა ტალახად ქცეულ ვარდის კვალში და ბურთს წასწვდა, მაგრამ ბურთი ხელიდან დაუსხლტა, კიდევ უფრო აიკრა ტალახი და დამძიმდა. ბოლოს ბიჭმა თავგამეტებით ჩაიჩოქა, გადაიხარა და ორივე ხელით ჩაიკრა გულში ბურთი. რის ვაივაგლახით აითრია წელი და კვალიდან გამოვიდა.

იდგა თავ-ფეხიანად დასვრილი ბიჭი ტალახით დამძიმებული ბურთით ხელში და ფიქრობდა, რა გაეკეთებია, რომ მისი საყვარელი თბილისი და წავკისი, საერთოდ მთელი ქვეყანა ამ ჭუჭყისაგან გადაერჩინა!

უეცრად წყლის ჩხრიალი მოესმა.

წყალი ხშირად არ მოდის ონკანში, ახლა კი თითქოს მის საშველად წამოვიდა.

ბიჭი ადგილს მოწყდა და ონკანს მივარდა. ბურთი ბუყბუყით წამოსული წყლის ჭავლის ქვეშ მიწაზე დადო, თან ხელები აუსვ-დაუსვა. წყალმა ჯერ პატარა ჭები ჩასვრიტა ტალახით დაფარულ ზედაპირზე, მერე კი ერთიანად გადარეცხა. ბურთი მსუბუქად დატრიალდა წყლის ქვეშ. და ისევ გამოჩნდა ფერად-ფერადი ქვეყნები, ცისფერი ოკეანე... და ისევ ძვირფასი თვალივით აკიაფდა ორ ზღვას შორის საქართველო.

– აი, აქ თბილისია, აქ – წავკისი... სულ ტალახში იყო ამოსვრილი. მთელი ქვეყანა ტალახში იხრჩობოდა!

ბიჭმა ცისკენ აისროლა გაკრიალებული ბურთი და ჩუმად ჩაილაპარაკა: გადავარჩინე!

მხატვარი დარეჯან ჭილაშვილი





ცირა ქიტიაშვილი

## ჩვენებური ბიჭის ნათქვამი

ვინ თქვა ჩემზე, ხეტი არის,
ეს ხომ მეტისმეტი არის!
რა ვქნა, გული თუ არ მითმენს,
მიყვარს ტყე-ღრე ხეტიალი.
არა ვნახო ბროლის წყარო
კლდეზე გადმოკიდებული,
დილის ია, სიხარულის
ცრემლით აციმციმებული?!
მუხიანის სოკოები -
ლოყა ლოყას მიდებული,
ველი — ყვავილ-ფუტკრიანი,
ერთხმად აზიმზიმებული.
ღრუბლებს ზემოთ თეთრი მთები
თავებამოჩინებული.
იქ არწივი კლდეზე მჯდარი,
ქროლვით მხარდამძიმებული?!
ამდენი რამ საოცარი,
ამდენი რამ დიდებული,
არა ვნახო, როგორ ვიყო
მშვიდი, გამოძინებული
არა, გული ვერ მოითმენს,
ასეთია ეს ტიალი!
დე, თქვან ჩემზე, ხეტი არის,
ვივლი, მიყვარს ხეტიალი.

ვანო ჩხიკვაძე

## ცნობისმოყვარე ბიჭები

- მოერევა ლომი სპილოს,
მელა - მგელს და
კატა - ვირთხას ? -
თენდება და საღამომდე
უამრავი მესმის კითხვა.
რატომ უყვარს
თაფლი დრუნჩას,
თხილი - ციყვს და,
ყველი - თაგვებს?
ან კურდღელი
ყურცქვიტელა,
ბოსტანს რატომ
აჩანაგებს?
დათუნია მუზმუზელას
რატომ სტკივა
ზოგჯერ კბილი?
ან ვეფხვი რომ
ბოროტია,
ბოროტია
ვეფხვის შვილიც?

წვებიან და საწოლიდან
კვლავ კითხვები
მესმის მათი.
ბიჭები რომ იძინებენ,
ღარა გვაქვს
არაქათი.



მხატვარი ნინო ჩაკვეტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სირაქლემა

პაატა ჩხეიძე

მხატვარი
ნანა სანია




ეს სირ-აქლემაა — ფრინველი, ანუ ძველქართულად სირი, რომელიც აქლემს წააგავს — სიდიდით, და იმითაც, რომ ფრენა არ შეუძლია. ეს ფრინველი, რომელიც ვერ დაფრინავს, ყველაზე დიდია დედამიწაზე არსებულ სხვა ფრინველებს შორის — სიმაღლით ორნახევარი მეტრია, წონით — 100 კილოგრამი.





ძველად, ხმელთაშუაზღვის ქვეყნებში სირაქლემას კვერცხებით ვაჭრობდნენ — მათ ღვინის ჩამოსასხმელად იყენებდნენ. სირაქლემას ერთ კვერცხს ძველბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოში — სპარტაში წმინდა სახსოვრად — რელიკვიად — ინახავდნენ. ძველ რომში — ძლიერ მონათმფლობელურ სახელმწიფოში განსაკუთრებით ჯანიან მონებს და სამხედრო ტყვეებს საგანგებოდ წვრთნიდნენ საბრძოლო ხელოვნებაში, რომ შემდეგ ცირკის არენაზე მათი ურთიერთთან შერკინებით ან სხვადასხვა ცხოველთან, ძირითადად ლომებთან მათი ბრძოლის ცქერით თავი შეექციათ. ასეთ მებრძოლებს გლადიატორებს ეძახდნენ. ჰოდა, საუკეთესო გლადიატორები თავიანთ ძვირფას რკინის ჩაფხუტებს სირაქლემას ფრთებით რთავდნენ.



სირაქლემებს ცხენების ნაცვლადაც იყენებდნენ. მაგალითად, ბერძენთა მიერ დაპყრობილი ეგვიპტის მბრძანებელი პტოლომეუსი დღესასწაულების დროს მოედანზე რომ გამობრძანდებოდა, მის ეტლში 8 სირაქლემა იყო შებმული.





შემორჩენილია პტოლომეუსის ცოლის ქანდაკება: ეს ქალბატონი სირაქლემაზეა ამხედრებული. იმართებოდა ხოლმე სირაქლემების დოღიც — შეჯიბრება გასწრებაზე.





თუ სირაქლემა ისე მოიმწყვდიეს, რომ უკანდასახევი გზა მოუჭრეს, ის ავდება და მტერს ბასრკლანჭებიან ფეხებს ურტყამს. მაგრამ თუ არჩევანი აქვს, გაქცევას ამჯობინებს. საფრთხის მოახლოებას რომ იგრძნობს, სირაქლემა თავს იმკვდარუნებს — მიწას გაერთხმის და კისერს ჰორიზონტალურად წაიწვდის — ამ პოზაში მისი შემჩნევა ძალიან ძნელია. სწორედ თავდაცვის ამ ხერხის გამოა, რომ ამბობენ, შეშინებული სირაქლემა თავს სილაში მალავსო. სინამდვილეში ეს ასე არ არის.





სირაქლემას უყვარს ბრჭყვიალა საგნები, მაგრამ კაჭკაჭივით კი არ აგროვებს და შესცქერის მათ, პირდაპირ პირში გადაუძახებს ხოლმე. სამხრეთ აფრიკაში ერთმა სირაქლემამ თურმე 53 ცალი ალმასი გადაყლაპა, მაგრამ არაფერიც არ დამართნია — სირაქლემას კუჭში აქვს ქვები, რომლებიც აქ მოხვედრილ ყველა საგანს ფქვავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დოლი და კამეჩი

(ზღაპარი)

გზაში ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. დუქანში შევიდნენ, მაგიდას მიუსხდნენ და თითო ჭიქა ღვინო შეუკვეთეს.

– ეჰ, – ამოიოხრა ერთმა, – რამდენი ხანია, ერთმანეთი აღარ გვინახავს, შენ რომ დაგშორდი, მას მერე ნეაპოლში ვიყავი. იმდენი რამ გადამხდა თავს, რომ, ღმერთმანი, აღარაფერი აღარ მიკვირს. თუმცა, არა, ერთხელ მაინც გაკვირვებული დავრჩი. გზაზე მივდიოდი და, უცებ, რას ხედავს ჩემი თვალები: დოლი, მარა რა დოლი! არ დაიჯერებ, რამხელა იყო! სამი დღე გარს ვერ შემოვუარე. დოლზე სოფელია გაშენებული. გლეხები რომ საძოვარზე მიერეკებიან საქონელს, ძროხების ბაკი-ბუკი ას მილზე ისმის.

– დაუჯერებელი რა არის? – მთქნარებით მიუგო მეორემ, – ზოგი რამ თვითონაც მინახავს. ხომ იცი,





ნადირობის ტრფიალს რომ იტყვიან, სწორედ ისა ვარ. ვინ მოთვლის, რამდენი ნადირი გამიწყვეტია. ერთხელაც კამეჩი მოვკალი. კამეჩი, მარა რა კამეჩი! წინა ჩლიქები რომ ერთ მთაზე ედგა, უკანა ჩლიქებით მეორე მთას ებჯინებოდა. ბალახის ნაცვლად ასწლოვან ხეებს ძირფესვიანად გლეჯდა და მადიანად ახრამუნებდა.

– რას ამბობ, რას? – გაბრაზდა პირველი, – მაგისთანა კამეჩი ჯერ არ დაბადებულა.

– როგორ თუ არ დაბადებულა? შენ რომ დოლი გინახავს, ზედ სწორედ იმ კამეჩის ტყავი იყო გადაჭიმული.

ცრუპენტელას ენა მუცელში ჩაუვარდა.

მხატვარი კობა აბულაძე

იტალიურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ

**იქნებ გაარკვიო, რა ხდება ამ ნახატზე და შემდეგ გააფერადო.**





მერი ბოლქვაძე

## სად გარბიხარ ქარო

გზაზე ქარმა გაირბინა...
- სად გარბიხარ, ქარო?
- ტყეში, ჰანტა მოწყულა,
ხმაწკრიალა წყაროვ.
დათუნია მელოდება,
რომ ჩამოვუყარო.

მხატვარი ნანა სანაია



მარიამ წიკლაური-ძიძიგური

## ცელქი დევები



დევთა დედა მელანია,
ორთავ თვალით ელამია,
ცხრა შვილისთვის ფაფას
ხარშავს,
გარს ეხვევა ყველანია.
სამი სოფლის სამყოფელი
ქვაბში ჩაუყრია შვრია.
სამი დღეა ქვაბი უდუღს,
სამი წყარო დაუშრია.
ცხრავე შვილი, ცხრა-ცხრა
გობით
სუფრის გასწვრივ დაუსხია.
ცხრა ჩარექი ფაფითაც კი
ვერცერთი ვერ გაუძღია.
ვერც ზლაპრებით მოუპირავს,
დევთ გაუდით რია-რია,
რა ქნან?... ცხრა-ცხრა
პირი აქვთ და
მუცელი კი ზიარია.
ჭამეს, ლოკეს გობის ძირი,
დააყოლეს ცივი წყალი,
მაინც კიდევ უაყანებდნენ,
გადარიეს დევის ქალი.
ადგა ბოლოს მელანია,
ორთავ თვალით ელამია,
და საშველი რომ ვერ ნახა,
კარგად ტყიპა ყველანია.

ლინა ბარათაშვილი

## ჩემი ბებო



სეხნია ვარ ბებოსი,
ორივე ვართ ნუციკო,
მზე ერთურთზე ამოგვდის,
ერთურთს ვუგებთ
უსიტყვოდ.
ჩემო საფიცარო და
ჩემო სულისდგმაო,
მეფერება ბებიკო,
დამავიწყე სხვაო.
დავენაცვლე, გოგოო
ციცქნავ, ჩემო დილაო,
ისე გამახალისე,
გავხდი შენი კბილაო...
ჩემს თოჯინებს
მზრუნველად
მილამაზებს ბაბთით,
ჩემთან ერთად თამაშობს,
ჩემთან ერთად დარბის.
თეფშით უკან დამყვება
ვინ ვჭობნითო, აბა!
რძეს და მანის ფაფას
ჩემთან ერთად ულაპავს.
ჩემთან ერთად ხატავს,
ჩემთან ერთად მერწავს,
ჩემთან ერთად ღიღინებს
და მუდამ ვართ ერთად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფრთოსანი ხუროთმოძღვრები



ლუარა გორდიევიჩი

პირველყოფილი ადამიანები, თავი რომ დაეცვათ მტაცებელი ცხოველებისა თუ ბუნების სტიქიური მოვლენებისაგან, გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ. მერე და მერე ადამიანებმა შენება ისწავლეს და დღეს გვაოცებს უძველეს ნაგებობათა ნანგრევებიც კი, ეგვიპტური პირამიდები, საუკუნეების წინათ ნაშენი სასახლეები და ტაძრები და, ბოლოს, XX საუკუნის უდიდესი საოცრება – ცათამბჯენები...

დიახ, ადამიანმა ისწავლა თავშესაფრის და ბევრი სხვა დანიშნულების ნაგებობათა შენება, მაგრამ საინტერესოა, სად ცხოვრობენ გარეული ცხოველები და ფრინველები, სად სძინავთ, სად მრავლდებიან?!..

მილიონ წლებს ითვლის ცხოველ-ფრინველთა „ხუროთმოძღვრული“ საქმიანობა. ხმელეთზე თუ წყალში ისინი დაუღალავად შრომობენ, რომ თავშესაფარი მოიწყონ. რად ღირს თუნდაც ჭიანჭველას, მერცხლის, ობობას მშენებლობის ნიჭი.

მრავალრიცხოვან და მრავალფეროვან ცხოველ-ფრინველებს საცხოვრებელიც ასევე განსხვავებული აქვთ.

აი, რას წერს ბუნების დიდი მეგობარი ვიტალი ბიანკი: „ფრინველთა უპირველესი საზრუნავი თავიანთი ბარტყებისათვის ბუდის აგებაა. ხომ ძნელია უხელოდ, უცულოდ ქოხის დადგმა? ფრინველები კი მაინც ახერხებენ შენებას ისე, რომ განცვიფრება გიპყრობს. მსუბუქი აკვანივითაა ჩამოკიდებული ხეზე მოლაღურის ბუდე. იგი მოქსოვილია ხის კენწეროში, ტოტების განშტოებებში. სკვინჩა ბუდეს აგებს ხის ზროსა და მისგან განშტოებულ ტოტს შორის. ბუდე ღრმად არის ჩამჯდარი, გაწყობილია ღინღლითა და ბუმბულით. გარედან კი ისე მოხერხებულად არის შენიღბული ხის ქერქითა და მღიერებით, რომ შეიძლება პირდაპირ უცქერდე და ვერ ხედავდე. თუ სკვინჩის ბუდეს ხელით შეეხე, ფრინველები გაფრინდებიან და მეორედ ამ საცხოვრებელს აღარ დაუბრუნდებიან.

საუკეთესო მშენებელ ოსტატებად ითვლებიან მგალობელი ფრინველები. ისინი ბუდეს ბალახის, ფოთლების, ხავსის, მღიერებისა და სხვა მასალისაგან აგებენ, შიგნით კი, სითბოსა და სირბილისათვის, ბუმბულითა და ბეწვით აწყობენ.

მგალობელი შაშვი ბუდის შიგნით ნერწყვში დასველებული ხის ქერქის ნაწილაკებს აწებებს.

ტყის ჭაობებში ბუდობენ გრძელფეხება წეროები. მათი ბუდე ხეებისა და ბუჩქების ღეროებით



გაწყობილი ორმოა მიწაზე...“

სოფლის მერცხალი, რომელიც ქალაქის მერცხალზე ადრე მოფრინავს თბილი ქვეყნებიდან, ბუდეს სახლის ერდოზე იკეთებს ტალახისაგან. სიმაგრისათვის ტალახში ბუმბულსა და ბეწვს ურევს. სამუშაოს სულ ჭიკჭიკით ასრულებს. ბუდე ფიალის ფორმისაა და ღია.

ქალაქის მერცხლის ბუდე ბალახისა და წვრილი კენჭებისაგან არის ნაგები, დახურულია და ვიწრო შესასვლელი აქვს.

შოშია ბუდეს იკეთებს ხის ფუღუროში ან სახლის სხვენზე და ადამიანის დამზადებულ „სახლშიაც“ კი დებს კვერცხებს.

ლამაზი თაიგულის მსგავსი ჩიტბატონა ფოთლოვან ხეზე იწნავს ბუდეს. „სამშენებლო მასალად“ იყენებს ხავსს, ფესვებს, მცენარეთა ბოჭკოებს, აბლაბუდას. ბუდე შიგნიდან ამოგებულია ბეწვით, ბუმბულით.

ტყის მცველი შაშვი ბუდეს ხეზე იკეთებს, მაგრამ უფრო დაბლა, ვიდრე მტაცებელი ფრინველები – რუხი ყანჩა და ჭილყვავი. სხვადასხვა მასალისაგან ნაგები „სასახლე“ საუკეთესოდ არის „მობათქაშებული“.

ნაზი და მშვენიერი გვრიტები ბუდეს ხეებსა და ბუჩქებზე წნავენ წვრილი ტოტებისგან.

თავშავას ბუჩქებში აქვს ბუდე, შიგნიდან ცხენის ძუა აქვს ჩაგებული, გარედან კი გამხმარი ბალახით არის მოპირკეთებული. ასეთ „ბინაში“ თავშავა მყუდროდ გრძნობს თავს და ავდარშიაც კი გალობს, როდესაც სხვები გალობას წყვეტენ.

ალკუნი, წყლის შაშვივით, პატარა მდინარეებთან ცხოვრობს. ბუდეს მდინარის ციცაბო ნაპირებზე იკეთებს. ეტანება თიხიან და ქვიშიან ადგილებს. თხრის სოროს და შიგ ფხებს აგებს.

ბოლოცეცხლა ღობეში ან ფუღუროში იბუდებს. ალბათ კოცონივით მობრიალე ბოლოს ასე უკეთესად დამალავს.

მტაცებელ ფრთოსანს – შევარდენს კეთილშობილ ფრინველს უწოდებენ. ის თავს ესხმის მოძრავ ფრინველს და არ ერჩის მის კვერცხებს და მართვეებს. თვითონ ძნელმისადგომ ადგილებში – ხის კენწეროებზე ან კლდეზე აქვს ბუდე.

ტოროლა ადამიანის მიერ დამუშავებულ ველმინდვრებში იკეთებს ბუდეს, აქედან დილაუთენია ისარივით იჭრება მაღლა და წკრიალ-წკრიალით არაკრაკებს დილის, მზის, სიცოცხლის სადიდებელ სიმღერას.

ვინ არ იცის, რომ ვარდის ბუჩქებში თვალდახუჭული გალობს სერენადების უბადლო ოსტატი ბულბული. მისი





ბუდე ბუჩქის ძირას ამოთხრილი ორმოა, რომელშიც ჩალა, ფოთლები, ძუაა ჩაგებული. თუ ბუჩქი მრავალშტოიანია და ბუდეს კარგად დაფარავს, ზოგჯერ ბულბული ბუჩქებშიც იბუდებს.

ნისკარტმარწუხა ზამთრის ფრინველია. ის ხეებზე ბუდობს. ბუდე სქელკედლიანია, ფსკერზეც თბილი საგები აქვს დაფენილი და სითბოს ინახავს.

„მექოხეებს“ეძახიან ახალ გვინეასა და ავსტრალიაში მცხოვრებ ფრინველ-არქიტექტორებს – სამოთხის ჩიტებს. მათგან მხოლოდ ზოგ სახეობას აქვს ულამაზესი შეფერილობის ფრთა-ბუმბული, მაგ-



რამ ამ უბრალო გარეგნობის ფრთოსანთა მამრებს შესაშური „ხუროთმოძღვრული ნიჭი“ აქვთ. ისინი აგებენ ქოხებს ერთი შესასვლელით, რომელსაც ნაირფერი ყვავილებით, ნიჟარებითა და ბრჭყვიალა საგნებით რთავენ მდედრისმისაზიდად. ქოხის აგებას 4-5 თვეს ანდომებენ. ამ ეგზოტიკური შენობის წინ ისინი აწყობენ ფერად-ფერადი ყვავილებითა და კენჭებით დამშვენებულ „საზეიმო მოედანს“.

პატარებო, ალბათ დაგაინტერესათ ფრინველების სამშენებლო ოსტატობამ. მაგრამ მარტო ინტერესი არ კმარა. დააფასეთ მათი დიდი შრომა. ნუ დაუნგრევთ ბუდეს. გიყვარდეთ და მოეფერეთ მათ. წარმოიდგინეთ, როგორ დაცარიელდებოდა უიმათოდ ქვეყანა.

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

# ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის მე-3 ელემენტარული სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა





გუშინ — არც თუ ისე შორეულ წარსულში, სულ რაღაც ერთი წლის წინ, ამ გაპარტახებული შენობის მემკვიდრე გახდა მე-3 ელემენტარული (დაწყებითი) სკოლა.

დღეს — ამ თეთრკედლებიან, ლამაზ შენობაში 1450 ბავშვი სწავლობს. სწავლება ექვსწლიანია, ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლებით.



**თემურ ლოლაძე — სკოლის დირექტორი, განათლებით ისტორიკოსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ერთი წლის წინ უმაღლესი სასწავლებლიდან სკოლაში მოვიდა.**

## ბლიც-ინტერვიუ

***— რა არის „კარგი სკოლა“?***

— ის, რაც გუშინ ბუნებრივი იყო, დღევანდელ ფონზე აღფრთოვანებას იწვევს. ამიტომ, საკამათოა თვით სიტყვა „კარგი“. ისე კი, კარგი სკოლა, პირველ ყოვლისა, კარგი მასწავლებელია.

***— რა მიგაჩნიათ მიუღებლად დღევანდელ სკოლაში?***

— დაუშვებელია, ბავშვი ბიზნესის კეთების წყაროდ იქცეს. ეს ტენდენცია კი ნამდვილად არის.



***— რამ გადაგაწყვეტინათ სკოლაში მოსვლა?***

— ბავშვის სიყვარულმა. მომავალს მხოლოდ მათში, ბავშვებში ვხედავ.

***— საკამათო აღარ არის, რომ სულ მოკლე დროში მოახერხეთ „კარგი სკოლის“ სახელი მოგეპოვებინათ. როგორ?***

— რომ არა სკოლის წარსული და ტრადიციები, რომ არა ჩვენი კოლექტივი, მარტო თემურ ლოლაძე ვერაფერს გახდებოდა.

ცოტა რამ სკოლის წარსულიდან: მე–3 ელემენტარული სკოლა ქუთაისის სახელგანთქმული მე–3 სკოლის განშტოებაა. მისი წარსული თამარ დახუნდარიძე, ვანო ვარლამიშვილი და სხვა ცნობილი დირექტორები არიან, მისი წარსულია ის უამრავი კურსდამთავრებული, ვინც უკვე ასახელა და მომავალშიც ასახელებს სკოლას, ქალაქს და ქვეყანას.

მე–3 ელემენტარულმა სკოლამ შეძლო ძველი ტრადიციებიც აღეორძინებინა: განაახლა დიდი წარსულის მქონე ინგლისურენოვანი გუნდი, რომელსაც უწინ არაერთი უცხოელი განუცვიფრებია და, იმედია, მომავალშიც მოწონებას დაიმსახურებს.

ამის გარდა, სკოლა თავად გახდა მშვენიერი ტრადიციის ფუძემდებელი: იგი დაუმეგობრდა ამერიკის ქალაქ კოლუმბიაში არსებულ გრანტის ელემენტარულ სკოლას და ინგლისის ქალაქ ნიუპორტის ერთ–ერთ სასწავლებელს. ბავშვებს მიმოწერა აქვთ უცხოელ თანატოლებთან, უგზავნიან თავიან ინგლისურენოვან ჟურნალს „თვალმახარა“ და საპასუხოდაც უამრავ ჟურნალს და საჩუქარს იღებენ.







ეროვნული
ბიბლიოთეკა

გუგული ტოგონიძე

# ირემი



ირემს რქები ზურგზე გადაეყარა, თავი წინ გაეშვირა და გარბოდა.

– საით, ხომ ხედავ, ამოვედი! – ჩამოსძახა მთის წვერზე შემოსკუპულმა მზემ და ქორბუდა სხივებში გაახვია.

– მზეო, გამიშვი, მომდევენ. წუთიც და წამომეწევიან.

– მონადირეები?

– ირემს მოსდევენ, ირემს! ვუშველოთ! – აკრიახდნენ შაშვები, კაჭკაჭები, აწრიპინდნენ ბოლოქანქარები. ააბათქუნეს, აატკაცუნეს ფრთები. ნისკარტები ააჭახუნეს.

– იჰ, გაჩერდით ერთი, – დასჩხავლა ყვავმა, – თქვენ რა შეგიძლიათ ნეტავ?

– არც არაფერი, – საცოდავად ჩამოუშვა ფრთები არწივმა, – ადამიანი მოსდევს...

– რით, რით ვუშველოთ? – აშრიალდნენ ფოთლები იფნარში.

ფშანში ირემმა გაიშლიგინა! შეტოკდნენ შამბნი და მაყვალნი. ბალახებში ჩაძინებული ნამი ძირს ცვიოდა და წითლად იფერებოდა. ნაძვებს თათებივით გამოეშვირათ ტოტები, თითქოს გულში უნდოდათ ჩაეკრათ დევნილი ირემი. კოკროჭინა გირჩები ღელავდნენ, ტოტებზე ქანაობდნენ.

– ირემო, ჩქარა! ჩქარა! თორემ წამოგეწევიან...

– ნეტავ დაიფაროს ვინმემ, – ინატრა ნიბლიამ.

– მაინც ვინ, ვინ გადაარჩენს? – აწრიპინდა წივწივა.

მირბოდა დაჭრილი ირემი. აი, ტყე დაილია. მერე საურმე გზა გამოჩნდა. ირემი ამ გზას დაადგა. გეზი სოფლისკენ აიღო. გული აუფართქალდა, წუთით მოეჩვენა, რომ გაუჩერდა, თვალებზე რაღაც გადაეფარა, მთელი ტანით აძაგძაგდა. ის იყო, ღონემიხდილი უნდა ჩაჩოქილიყო, რომ სოფელი გამოჩნდა.

– ადამიანებთან მოვსულვარ უკვე... სოფელში... – გაიხარა ირემმა, თვალებიდან ბურუსი გადაეცალა და იმედის ცრემლი მოადგა.

# დათუნიას განცხადება

ნარგიზა მგელაძე



დათუნიამ განცხადება
ააკრელა სამ ფურცელზე:
„ვთხოვთ დამნიშნოთ
ტყის მეფუტკრედ
განცხადების საფუძველზე.
აღშფოთება მაწუხებს და
არ დავმალავ, სწორად არ ვთვლი,
როცა ასე უპატრონოდ
იკარგება ქვეყნის თაფლი.
გასამრჯელოს არ მოვითხოვ
ქვეყნისაგან ამ ამაგზე,
უანგაროდ ვიმსახურებ
*დათუნია აჩბაჩაძე“.*

მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

F 6771
საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მათემატიკური თავსატეხები



## 98+7-6+5-4+3-2-1=100

აქ ძალიან ბევრი მიმატების და გამოკლების ნიშანია. მაგალითი ისე უნდა ამოხსნათ, რომ მხოლოდ სამი მიმატების (+) და ერთი გამოკლების (-) ნიშანი გამოიყენოთ და პასუხად 100 მიიღოთ. შეგიძლიათ ამ ციფრებისგან ორნიშნა რიცხვები შეადგინოთ, ოღონდ არ უნდა დაარღვიოთ მათი თანმიმდევრობა.

ირინემ ამხანაგებს თავსატეხი გაუჩინა – მოცემულ კვადრატში ცარიელი ადგილები ისეთი რიცხვებით შეევსოთ, რომ ჰორიზონტ-ალურად, ვერტიკალურად თუ დიაგონალურად მათი შეკრებით მიღებულიყო ჯამი – 30 (დას-აშვები იყო 0-დან 15-ის ჩათვლით ყველა რიცხვის თითოჯერ გამოყენება – კვადრატში ჩაწერილი რიცხვების ჩათვლით).



| | | | |
|---|---|---|---|
| | 10 | 13 | 0 |
| 12 | | 6 | |
| | | | |
| 9 | 4 | 3 | |



სანდრო და ანდრო ტყუპები არიან. ძალიან უყვართ მათემატიკური თავსატეხები. ერთხელ ჩანთიდან ფერადი ფანქრები ამოყარეს და აი, ასეთი ამოცანა შესთავაზეს თანატოლებს: მხოლოდ ერთი ფანქრის გადაადგილებით გაემართლებინათ ამ უსწორო მაგალითის პასუხი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თითოეულ ნახატზე გადახაზე ის საგანი, რომელიც არ შეესაბამება დანარჩენს.



დაეხმარე ცხოველთა ნაშიერს თავიანთი სახელების პოვნაში




ნინო ჩაკვეტაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ვაჟა ძორხული



# ამოუხსნელი საიდუმლოებანი

ჩემო პატარა! შენ ახლა არც ისე პატარა ხარ, რომ არ დაინტერესებულიყავი, როდის გაჩნდა ადამიანი.

იქნებ იცოდე, რომ ძალიან შორეულ წარსულში, რამდენიმე ათეული მილიონი წლის წინ, დედამიწა დასახლებული იყო გიგანტური დინოზავრებით. შემდეგ, კლიმატური ცვლილებების თუ სხვა მიზეზთა გამო, დინოზავრები გადაშენდნენ და მათი სამფლობელოები უფრო მცირე ზომის ბალახისმჭამელმა თუ მტაცებელმა ძუძუმწოვრებმა დაისაკუთრეს. მათგან შორს, მყუდრო ადგილებსა თუ მღვიმეებში კი დაბინადრდნენ ჯუჯა არსებები, რომლებსაც არც მახვილი ეშვები ჰქონდათ, არც ბასრი კბილები და ბრჭყალები, არც ჩლიქები და სქელი ტყავი, არც წამახული რქები და სწრაფი ფეხები. ესენი იყვნენ ჰომინიდები (პრიმატები), ადამიანის შორეული წინაპრები.

ბოლო ასწლეულში აღმოჩენილი მონაპოვრებით დგინდება, რომ ჩვენს პლანეტაზე გონიერი ადამიანი, თურმე, უხსოვარ წარსულშიც არსებობდა.

აი, გასაოცარი ფაქტი: ამერიკელმა დიასახლისმა, ქალბატონმა კალპმა 1891 წლის ერთ დილას, ჩვეულებრივ, ღუმელის დანთება გადაწყვიტა. ქვანახშირის გროვიდან ერთი მოზრდილი ნატეხი აიღო, საცეცხლურით შუაზე გახლიჩა და... ჰოი, საოცრებავ! ქვანახშირში 25 სმ სიგრძის 192 გრამიანი ოქროს ძეწკვი იპოვა. ოქროს ძეწკვის პოვნა, დიახაც გასახარია, მაგრამ გასაოცარია ის, რომ ქვანახშირის ნატეხი, რომელშიც ძეწკვი იყო ჩაკირული, დაახლოებით 300 მლნ. წლისა იყო!

1844 წელს შოტლანდიის ქვის სამტეხლოებში აღმოაჩინეს 400 მილიონი წლის ლურსმანი... დედამიწის სხვადასხვა კუთხეში ნაპოვნია, აგრეთვე, ძალიან დიდი ხნის ლითონის ლარნაკები, ადამიანის თიხის ფიგურები, მონეტები...

ვის უნდა დაემზადებინა ეს ნივთები?

რა თქმა უნდა, უცხოპლანეტელები ასეთ ღარიბულ ნივთებს დედამიწაზე არ ჩამოიტანდნენ. ე.ი. ისინი დედამიწაზე არიან დამზადებული. მაგრამ... სად არის მათი შემოქმედი ადამიანის ნაკვალევი?

აი, ისიც! 1983 წელს თურქმენეთში კუგიტანგის მთიანი ქედის ციცაბოზე აღმოაჩინეს ადამიანის 43 ზომის შიშველი ტერფის ანაბეჭდი, რომელიც 150 მლნ. წლისაა. 300 მილიონამდე წელს ითვლის ამერიკაში და ტანზანიაში აღმოჩენილი ნატერფალები. მაგრამ სასწაული უფრო ის არის, რომ ჩვენს შორეულ წინაპრებს თურმე მხოლოდ ფეხშიშველებს როდი უსეირნიათ.

ცნობილმა გეოლოგმა ჯონ რეიდმა ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში აღმოაჩინა... ფეხსაცმლის რანტიანი ლანჩის ანაბეჭდი. ქიმიური ანალიზით დადგინდა, რომ ქანი, რომელზეც ეს ანაბეჭდია, სულ ცოტა 213-248 მილიონი წლისაა; იუტას შტატის თიხოვან ფიქალებზე აღმოჩენილი ქუსლიანი ფეხსაცმლის ანაბეჭდი კი 505-590 მილიონი წლისაა.

საინტერესოა, როგორ გამოიყურებოდნენ ჩვენი უძველესი წინაპრები, რომელთაც ეს რანტიანი და ქუსლიანი ფეხსაცმელი ეცვათ.

გასულ საუკუნეში მეშახტეებმა ლეხიგხკის მაღაროებში, 40 მ-ის სიღრმეზე, ქვიშნარ ფენაში იპოვნეს ქვა, რომლის დამუშავებულ ზედაპირზე, გეომეტრიული ფიგურების – რომბების ცენტრში გამოსახული იყო ჭარმაგი კაცის პროფილები. შუბლზე ყოველ სახეს განსაკუთრებული ჩაღრმავებები ემჩნეოდა... ლეხიგხკის საბადოების ქვანახშირი 280-345 მლნ. წლისაა...

ჩემო პატარა, ჭკვიანო და გონიერო მკითხველო,

ალბათ ხვდები, რომ ყოველი ეს აღმოჩენა უძვირფასესია ადამიანთა ისტორიისათვის, თუმცა ისინი ამომწურავს და კონკრეტულს ვერაფერს გვეუბნებიან თავად იმ უძველეს ადამიანებზე. ჩვენს უხსოვარ და უუშორეს წარსულზე არც პითეკანთროპის (ადამიანი-მაიმუნის), არც ნეანდერტალელის და არც ავსტრალოპითეკის ჩონჩხები გვეუბნებიან ბევრ რამეს, არადა, გონიერ ადამიანთა ნაშთები, რომლებიც მილიონობით წელს ითვლიან, აიძულებენ მეცნიერებს, ეძებონ უფრო შორი და შორეული წინაპარი.

და...

აი, ისიც! 1880 წლის 16 თებერვალს იტალიაში კასტანდელლოს დასახლებაში, მარჯნის ნარჩენების გათხრისას აღმოაჩინეს ანატომიურად თანამედროვე ქალის ჩონჩხი. კასტანდელლოს ცისფერი თიხა კი, სადაც ჩონჩხია ნაპოვნი, 3-4 მილიონი წლისაა.

მილიონზე მეტი წლისაა დედამიწელთა უხუცესი „აფრიკელი“ წინაპარიც.

დღეს კი მაცხოვრის დაბადებიდან მე-2 ათასწლეულის დასასრულს, პალეოანტროპოლოგიაში (მეცნიერება უძველეს ნამარხ ადამიანებზე) დიდი და სენსაციური ამბავი მოხდა – ახლახან, დმანისში, ქართველმა და გერმანელმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ადამიანის თავის ქალა, რომელიც მსოფლიოს უდიდესმა პალეოანთროპოლოგებმა 2 მილიონი წლით დაათარიღეს!

დიდება უფალს! აქ, შენს სამშობლოში, შენს საქართველოში, დედამიწის ამ პატარა კუთხეში, ჩემო პატარავ, გვერდი-გვერდ აღმოჩნდა პლანეტის ისტორიის ორი უდიდესი ფურცელი = დინოზავრის ნაკვალევი სათაფლიაში, ქუთაისთან ახლოს, და უძველესი ადამიანის თავის ქალა დმანისში...

ვინ იცის, კიდევ რა საიდუმლოს ინახავს ღვთისმშობლის წილხვედრი ჩვენი მიწა. ეს საიდუმლოებანი შენ გელოდება, ჩემო პატარა მკითხველო; შენს ნიჭსა და გონებას უცდის ისტორიის უძველესი წიგნის ახალი ფურცლების გადაშლა. ბევრი რამ სწორედ შენ უნდა უთხრა მომავალს თავისი შორეული და ბუნდოვანი წარსულის შესახებ: ვინა ვართ, საიდან მოვდივართ, სადა ვართ, საით მივეშურებით.

**ალეკო გაბელაია**




კროსვორდი შეადგინა
ნინო ჩაკვეტაძე

# ბავშვთა შემოქმედება

## ინოლა ალახანია



* * *

გემი მიდის თოვლისფერი აფრებით
მეზღვაურებს აუშვიათ ღუზა.
იალბუზი ჰგავს თოლიას აფრენილს -
მხატვრების და პოეტების მუზა.
პოეტივით მაღალ მთაზე მეც ვარ,
რომ შევეხო ამ საოცარ ზეცას.

### დრო

გადიან დღეები და
მძიმე წლები.
ამ გზას ვერასოდეს
გაენდობი.
მიფრინავს
(და მაინც გასაძლები!)
დრო, როგორც
თეთრი ფაეტონი.

### არ ვენდობი

არ ვენდობი სუსხიან და
ყინულიან ზამთარს
და მეგობარს ამპარტავანს, ამაყს,
ვის ვენდობი? კარგად ვიცი,
სიკეთე და სიყვარული ვისაც
ქისით დაფარულად დააქვს.

## ნანუკა ჭეიშვილი



ეს ნახატი ნანუკამ რედაქციას საჩუქრად გამოუგზავნა. ვალში არც ჩვენ დავრჩით, ჩუმად შევიტყვეთ, რომ მალე ამ პატარა გოგონას დაბადების დღე ექნება და გვინდა ჩვენი და თქვენი სახელით მივულოცოთ.



## გიორგი ბერაია



ჩვენ მეოთხეკლასელები ვართ. შარშან, ერთ დღეს, ნინო მასწავლებელმა გვითხრა, გიორგი ბერაიამ სიურპრიზი მოგიწყოთო, შეგვიღო საკლასო ოთახის კარი და კედლებიდან გიორგის ნამუშევრებმა შემოგვანათა.

გიორგი რომ ნამდვილი მხატვარია, ჩვენ ყველამ ვიცოდით – გაკვეთილებზეც კი სულ ხატავს, ძერწვაც უყვარს, ხშირად პურის ცომისაგანაც ძერწავს. იმდენ გამოფენაში აქვს მონაწილეობა მიღებული, რომ ვინ მოთვლის, სიგელები და დიპლომებიც აქვს ჯილდოდ. გვეამაყება, რომ გიორგი ჩვენი თანაკლასელია და გადავწყვიტეთ ჩვენს საყვარელ ჟურნალ „დილას“ გამოვუგზავნოთ დასაბეჭდად მისი ნამუშევრები, რომ „დილის“ მკითხველებმაც გაიცნონ ჩვენი მეგობარი გიორგი ბერაია.

*თბილისის კომენსკის სახელობის 24-ე საშ. სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეთა სახელით* ანო ვარდოსანიძე













ეროვნული ბიბლიოთეკა

# TOP MODEL

## სალომე ლევანიშვილი



1 თათიასთან, ნიასთან
ყველამ ხმა რომ ჩაკმინდა,
მაშინ მეც ამოვბრწყინდი,
გესალმებით ჩაქვიდან.

2 აჟისრულე ოცნების
ზღვაზე ჩემი მიზნები.
დროა „დილამ" გაიგოს
მეც ღირსი ვარ პრიზების.





3 „ტოპმოდელთა კონკურსში
როგორ ამომზიდი?!" –
გაოცებას ვერ ფარავს
ჩემი ბაბუ ზვიადიც.



4 პროგრამები რადიო
და სატელევიზიო
მილოცავდნენ ტოპმოდელს
ვარსკვლავს – პირველ
პრიზიორს.



5 გამარჯვების ქალღმერთსაც
(ეს მიჩვევია ნებიერს)
ისე ვთვლი და ვუყურებ
ვით საკუთარ ბებიებს.



6 მიხვრა-მოხვრა ჩემი მაქვს
პოზაც არვის მიმიგავს,
რას გაუგებ ჩემეულს
გრაციას და მიმიკას.



8 ხან სად ვარ და ხანაც სად,
ცხოვრება მაქვს ასეთი.
მშვიდად ფოტოსურათს მიხრიან,
ძუნწადი თუ ზანზეთი.





7 უნდა გითხრათ სიმართლე,
პირფერი არ ვიქნები,
თხა და გიგოს მაგონებს
ბავშვები და წიგნები.
მე კი აღარ მიტაცებს
წიგნი წითელ-ყვითელი.
ცნობილ წიგნებს ვკითხულობ
მეცნიერი-მკითხველი.



9 რა ქნა, დოდო დეიდას
ვარს როგორ გავატრებ?
მხოლოდ „ზღაპარს" ვუშვ ზაგნი
ამ ფოტოებს, ამ გადარებს.

№ 65/6

# გილოცავთ დაბადების დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკუშა არჩვაძე, ბექა ცქიტიშვილი ავთუკა ბარბაქაძე, მარიამ ბრეგვაძე, ანა გვენცაძე, მარიამ დანელია, ელენე დარახველიძე, თიკო თურქაძე, მეგი კიკოლაშვილი, ანა კლდიაშვილი, ირაკლი და გიორგი ეშავიძეები, ოთარ კუპრაშვილი, ლაშა-გიორგი კვარაცხელია, ნინო კვერნაძე, მარიამ ლორთქიფანიძე, ბექა მათიაშვილი, ნატო და გურამ მახარაშვილები, ქეთევან მელივაძე, ელენე მეშველიანი, გვანცა ნარიშვილი, თამუნა და ანანო ნეფარიძეები, სალომე სულაქველიძე, ქეთი საძ-აგლიშვილი, ეკა ონიანი, თამარ და მარიამ პაპუაშვ-ილები, გიორგი ფოფხაძე, ნუკა ჭანტურია, მარიამ ჭილაია, გიორგი შენგელაია




მთავარი რედაქტორი დოდო წიწიშაძე
სარედაქციო საბჭო: ლევან ბაბუხადია, ციცინო გამყრელიძე, გიორგი როინიშვილი, ნანი პაპაჩია, მაგდა კვაჭანტირაძე, თამარ ნინიკაშვილი, შერმადინ ქალდანი, თენგიზ ჩალაური
მისამართი: თბილისი, კოსტავას №14, ტელ.: 93 [illegible]0 32, 93 41 30 გამოდის 1904 წლიდან
ფასი: 2 ლარი და 5[illegible] თეთრი
ხელმომწერთათვის 2 ლარი